

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

10.10.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;

**ნინო დობორჯვეგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, სხდომის მდივანი;

**ლაშა გოცირიძე** - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;

**ელენე ჯიბლაძე** - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA – Georgia), უმაღლესი და პროფესიული განათლების კოორდინატორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**ნინო ოხანაშვილი** - საკონსულტაციო კომპანია „HR ექსპერტის“ დირექტორი;

**დავით კახნიაშვილი** - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლის ასოციაციის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

**მაია გელაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

**ანა ლელაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი:

**ელიზბარ ელიზბარაშვილი** - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

**თამარ ვეფხვაძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**თამარ დოლბათა** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**იოსებ სალუქვაძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

**გიორგი შუბითაძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**თეონა მატარაძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ქ. თბილისი

**ვალერიან მელიქიძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**რევაზ ჯორბეგაძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლამემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28<sup>6</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა დააყენა შუამდგომლობა, რომ გადადებულიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის განხილვა, ვინაიდან როგორც აღმოჩნდა ტექნიკური ხარვეზის გამო სააპელაციო საბჭოს ყველა წევრს არ ჰქონდა მიღებული შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

**შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის ახალი წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით იქნა დამტკიცებული.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

F. Imanishvili

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ თავდაპირველად სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს ელიზბარაშვილს, რათა მას დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, 2017 წლის 18 ივლისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოზე განხილული იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ექსპერტის არჩილ აბაშიძის მიერ წარმოდგენილი იქნა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და შენიშვნები, რომლის საფუძველზეც საბჭომ ხმათა უმრავლესობით მიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივრის წერილში ჩამოყალიბებული იყო სამი პუნქტი, რაც საფუძვლად დაედო საბჭოს გადაწყვეტილებას, თუმცა მისი მოსაზრებით აღნიშნული საკითხები არ ყოფილა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების მთავარი მიზეზი. მას გააჩნდა პროგრამასთან მიმართებით გარკვეული მოსაზრებები. კერძოდ, პროგრამის დასახელება უნდა ყოფილიყო სხარტი და მარტივად აღქმადი. უნივერსიტეტში არსებობდა მსგავსი პროგრამა და მას აინტერესებდა, თუ რატომ იყო საჭირო აღნიშნული მიმართულებით ახალი პროგრამის შემუშავება, ვინაიდან შესაძლებელი იყო ანალოგიური მიმართულების უკვე არსებულ პროგრამაში მოდულის ჩადება. დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შესაბამისი არგუმენტაცია, თუმცა მისი მოსაზრებით, სხვადასხვა სახელწოდების პროგრამა, რომელსაც ჰქონდა ერთი და იგივე მისანიჭებელი კვალიფიკაცია გარკვეულწილად აბნევდა სტუდენტს. მას მართებულად მიაჩნდა ყოფილიყო მსხვილი პროგრამა, რომელსაც ექნებოდა სხვადასხვა მოდულები და არჩევითი საგნები.

ელიზბარ ელიზბარაშვილის განმარტებით, პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი ძირითადად გამომდინარეობდა ექსპერტის მხრიდან პროგრამასთან მიმართებით არსებითი ხასიათის შენიშვნების და რეკომენდაციების არსებობიდან. საბჭოზე დაწესებულებამ განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს, თუმცა განხორციელებული ცვლილებები არ იყო წარმოდგენილი სხდომაზე და ვერ იქნებოდა ასახული უკვე არსებულ პროგრამაში, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა საბჭოს. სხდომაზე ექსპერტის მიმართ, საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმულ იქნა შეკითხვა გადიოდა თუ არა პროგრამა არსებული სახით სწავლის საბოლოო შედეგზე. 18 ივლისის სხდომაზე აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, სანამ ის არ ნახავდა განხორციელებულ ცვლილებებს და თავიდან არ შეაფასებდა პროგრამას, არსებული, ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მდგომარეობით პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტისათვის მიზნით დასახული საბოლოო შედეგის მიღწევას. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, თუმცა რა სახის ცვლილებები იყო განხორციელებული საბჭოსთვის არ იყო ცნობილი. აღსანიშნავი იყო, რომ ელიზბარ ელიზბარაშვილის მოსაზრებით პროგრამა საჭიროებდა კორექტირებას, რაც გულისხმობდა

ჭ. მამუკა

საგნების შინაარსობრივ სტრუქტურირებას და მიღების წინაპირობების დაზუსტებას. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საბჭომ რეკომენდაცია მისცა დაწესებულებას შეეტანათ პროგრამაში ცვლილებები და ხელახლა წარმოედგინათ ცენტრში შესაბამისი სააკრედიტაციო პროცედურების გავლის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების 2017 წლის 18 ივლისის ოქმს და განაცხადა, რომ პროგრამას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრთა დამსწრე შემადგენლობის 4-მა წევრმა, 2 წევრი კი თანახმა იყო პროგრამას მინიჭებოდა აკრედიტაცია. რაც შეეხებოდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, სამაგისტრო საფეხურზე უშვებდა ნებისმიერი საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულის მიღებას და მის მიერ ნებისმიერი სპეციალობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნული საკითხის დარეგულირება მოითხოვდა კანონში ცვლილების შეტანას. რაც შეეხებოდა სათაურში სიტყვა კვლევების გამოყენებას, მეცნიერება გახლდათ ახალი ცოდნის მოპოვება, ხოლო კვლევა გახლდათ არსებული ცოდნის საფუძველზე ახალი ობიექტის შესწავლა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თამარ ვეფხვაძემ სხდომის თავმჯდომარეს წარუდებინა რექტორის მიერ დამოწმებული მინდობილობა, რაც ადასტურებდა მის უფლებამოსილებას დასწრებოდა სხდომას დაწესებულების წარმომადგენლის სტატუსით. რაც შეეხებოდა თავად განსახილველ საკითხს, მან განაცხადა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ცვლილებები დოკუმენტაციის სახით ნამდვილად არ ყოფილა წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ დადგენილება იმის თაობაზე, რომ პროგრამაში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ იქნა ცვლილებები. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ საჭირო გახდებოდა კონკრეტული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ვინაიდან ელექტრონულ რეჟიმში ყველა ცვლილება განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახლდათ ის, რომ მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა და საბჭო შესაბამისად ორიენტირებული იყო მხოლოდ ექსპერტის დასკვნაზე. აღსანიშნავი იყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ დიდი ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა რომ ვიზიტის პროცესშივე გაზიარებული იქნა ექსპერტების გარკვეული შეხედულებები და რეკომენდაციები, პროცედურულად ყოველივე აღნიშნული საჭიროებდა გონივრულ ვადას. ცვლილებები განხილული უნდა ყოფილიყო მიმართულების საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოზე და გადაცემოდა აკადემიურ საბჭოს, თუმცა ზეპირ მოსმენამდე აღნიშნული პროცედურები დაწესებულებას განხორციელებული ჰქონდა.

რაც შეეხებოდა სახელწოდებაში „კვლევების“ გამოყენებას, ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას, თუმცა დაწესებულებამ წერილობით მიმართა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს, რომლის პასუხით დასაშვები იყო აღნიშნული დეფინიციის გამოყენება. რაც შეეხებოდა დაშვების წინაპირობების შესახებ ელიზბარაშვილის მოსაზრებას, დაწესებულება იზიარებდა მის შეხედულებას, ვინაიდან თავად ჰქონდათ პრეცედენტი, როდესაც სამსატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ჩარიცხული იქნა ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე. თუმცა აღნიშნული გარემოება არ იყო შეზღუდული საქართველოს კანონმდებლობით, მაგრამ აღსანიშნავი იყო, რომ მსგავსი შემთხვევების დროს დაწესებულება აწესებდა დამატებით გამოცდას სპეციალობაში, რომელიც რეგულირდებოდა შიდა ადმინისტრირების მექანიზმით.

თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში თუ კი სასწავლო კურსი მოიპოვებდა ლეგიტიმაციას, იგი შესაძლებელი იყო სხვადასხვა კომპონენტით ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამებში. კერძოდ, ერთ პროგრამაში ყოფილიყო არჩევითი, ხოლო მეორეში სავალდებულო. აღნიშნული პროგრამა სთავაზობდა სტუდენტს შემდეგ არჩევანს: თუ კი სოციალური და

ქ. სამართლებრივი მინისტრი  
სამართლებრივი მინისტრი

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებული ჩაირიცხებოდა სამაგისტრო პროგრამაზე და მას აუცილებლად უნდა აერჩია ეკონომიკური ბლოკის საგანი, პროგრამა სთავაზობდა ისეთ ლიტერატურას, რომელიც სტუდენტს მისცემდა ზოგად წარმოდგენას კონკრეტული საგნის შესახებ. აღნიშნულის განხორციელების აუცილებლობას მოიტანდა სტუდენტის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ფუნქციონირებდა თუ არა ფაკულტეტზე ტუტორის, ეგრეთ წოდებული მრჩეველის ინსტიტუტი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სტუდენტთა არჩევანს უზრუნველყოფდა ფაკულტეტი და ტუტორის ინსტიტუტი. თუმცა სტუდენტს მინიჭებული ჰქონდა სრული თავისუფლება საგნების არჩევაში.

რაც შეეხებოდა ლიტერატურას, კერძოდ მენეჯის სახელმძღვანელოს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო უფრო ძლიერი. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ მოწოდებული იქნა უფრო სოლიდური სახელმძღვანელოები და განახლებული სილაბუსი. გაზიარებული იქნა ასევე წინაპირობაში ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის მოთხოვნა. ასევე ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად რამდენიმე საგანს შეეცვალა სტატუსი და არჩევითი ბლოკიდან გადატანილი იქნა სავალდებულო საგნების ბლოკში.

ასევე გათვალისწინებული იქნა შენიშვნა ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებით და დამატებული იქნა საათები. ექსპერტებს ასევე ჰქონდათ შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მათი მოსაზრებით, დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი მმართველობა იმეორებდა თემებს. აღსანიშნავი იყო, რომ მეორდებოდა მხოლოდ ერთი თემა სხვდასხვა ავტორის შემთხვევაში. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა მიმართული იყო დემოკრატიის მექანიზმების ანალიზისკენ, ხოლო ადგილობრივი მმართველობა შეისწავლიდა კონკრეტულად სერვისების მიწოდებას, მმართველობის ფორმებს და მის დეცენტრალიზაციას. მიუხედავად აღნიშნულისა, დემოკრატია და ადგილობრივი თვითმმართველობა გადატანილ იქნა არჩევითი კურსების ბლოკში, ხოლო ადგილობრივი მმართველობის კურსში შეტანილი იქნა ელექტრონული მმართველობის საკითხები. პროგრამის შედეგებში გაწერილი იყო, რომ სტუდენტი მიიღებდა აგრარული პოლიტიკის ღრმა და სისტემურ ცოდნას. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით აგრარული პოლიტიკის საგნის სტატუსი შეცვლილიყო სავალდებულო საგნის სახით. აღსანიშნავი იყო რომ ყველა თვითმმართველი ქალაქი არ იყო აგრარული პოლიტიკის მატარებელი თუმცა, ექსპერტებს ჰქონდათ თავიანთი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წარმომადგენლის განცხადებით მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა ექსპერტთა რეკომენდაციები, აკრედიტაციის საბჭოს მიერ აღნიშნული გარემოება გაზიარებული არ იქნა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება, რის საფუძველზეც შეტანილ იქნა ცვლილებები პროგრამაში. მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ექსპერტი არ იცნობდა ცვლილებების შინაარსს. საბჭო განიხილავდა მხოლოდ იურიდიულ დოკუმენტს და გადაწყვეტილება ემყარებოდა მტკიცებულებებს. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ აკრედიტაციის დებულების თანახმად საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯვეგინიძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ექსპერტების პრეტენზია კვლევებთან დაკავშირებით ეხებოდა არა ტერმინს სახელწოდებაში, არამედ იმ ფაქტორს თუ რამდენად იყო პროგრამა კვლევითი და კვლევაზე ორიენტირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ერთი კურსი მთლიანად ითვალისწინებდა კვლევებს, რომლის მიხედვით სტუდენტები სწავლობდნენ, როგორც

თვისობრივ ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. სილაბუსში ასევე საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი ენიჭებოდა პრაქტიკული კვლევის კომპონენტს. სტუდენტები გადიოდნენ კვლევის ყველა საფეხურს და ბოლო ეტაპზე ქმნიდნენ კვლევით პროექტს. ასევე პრაქტიკის კომპონენტშიც, რომელიც იწყებოდა მეოთხე სემესტრში ჩართული იყო კვლევითი კომპონენტი და პრაქტიკის ბოლოს, სტუდენტი პრაქტიკის საფუძველზე ქმნიდა კვლევის შედეგების შემაჯამებელ ნაშრომს.

საბჭოს წევრმა ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ გამოსწორებული მასალა და პროგრამის გაუმჯობესებული შინაარსი, რასაც დაწესებულება ამბობდა, მისი განხილვა არ შედიოდა სააპელაციო საბჭოს კომპეტენციაში, საბჭოს არ შეეძლო ემსჯელა განხორციელებულ ცვლილებებზე და ვინაიდან საუბარი იყო ფუნდამენტურ ცვლილებებზე, გულისხმობდა აკრედიტაციის ახალი ვიზიტის განხორციელებას და პროგრამის ხელახალ გადასინჯვას. აკრედიტაციის საბჭოს აკრედიტაციის დებულების მიხედვით ჰქონდა მხოლოდ იმის უფლებამოსილება, რომ ზეპირ მოსმენაზე ემსჯელა მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც შემუშავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებამდე და არა მის შემდგომ.

აკრედიტაციის სამართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტზე ექსპერტების მოვალეობას წარმოადგენდა პროგრამის შემოწმება იმ საბუთებზე დაყრდნობით, რაც წინასწარ გადმოგზავნილი იყო ცენტრში. თუ პროგრამაში განხორციელდებოდა ცვლილებები ვიზიტის მიმდინარეობისას ან მის შემდგომ ზეპირ მოსმენამდე აღნიშნულს ვერ გაითვალისწინებდა ვერც ექსპერტთა ჯგუფი და ვერც აკრედიტაციის საბჭო. გამოსწორებული დოკუმენტაციის გათვალისწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ხდებოდა ახალი პროგრამის შემუშავება, რა აზრი ჰქონდა ექსპერტის რეკომენდაციას თუ ის ვერ შეცვლიდა პროგრამას უკეთესობისაკენ და ვერ გააუმჯობესებდა მას. თუ კი პროცედურა გახლდათ ფორმალური, როგორ უნდა დაედასტურებინა უნივერსიტეტს, რომ მათ მიერ გაზიარებული იქნა.

საბჭოს წევრმა ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ პროცესი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ფორმალური ორივე მხრიდან, მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელახლა იყო მოსაფიქრებელი პროგრამის ძირითადი არსი, ვინაიდან გაზიარებული იქნა ექსპერტთა თითქმის ყველა რეკომენდაცია, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა თავდაპირველი ვერსიით ვერ გავიდოდა სწავლის შედეგებზე. პროგრამაში განხორციელებული იქნა ფუნდამენტური ცვლილებები, ხოლო არსებული პროცედურები არ აძლევდა საბჭოს იმის საშუალებას დაწახა

საბჭოს წევრი ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, ხომ არ იყო პროგრამაში წარმოდგენილი გარკვეული კურსები, რომლებიც ისწავლებოდა საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა პროგრამებში, ვინაიდან გარკვეული საგნები სახელწოდებების მიხედვით რომელიც ისწავლებოდა სამაგისტრო დონეზე ასევე ჩადებული იყო საბაკალავრო პროგრამებშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგალითისათვის, აკადემიური წერა ისწავლებოდა სამივე საფეხურზე, თუმცა განსხვავებული მიზნებით და შინაარსით. რაც შეეხებოდა კონკრეტულ საგანს და მუშაობას გარკვეული ტიპის პროგრამაზე რომელიც იყო ინტერდისციპლინარული და საჭიროებდა გაძლიერებას ეკონომიკური ბლოკით, მიმართავდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, რომელიც აწვდიდა შესაბამის სახელმძღვანელოებს. არსებულ პროგრამაში მენეჯის სახელმძღვანელოც შეთავაზებული იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ეკონომიკაში. სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი, როდესაც იწყებდა უზრუნველყოფდა ეკონომიკის სილაბუსს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, უნივერსიტეტსა და თბილისის მერიას შორის უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება, რაც გაცხადებული გახლდათ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, ხოლო საბჭოს სხდომაზე ექსპერტის მიერ გაკეთებული იყო განცხადება იმის თაობაზე რომ მან არ იცოდა გაფორმდებოდა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება. აღნიშნული გარემოება გახლდათ ურთიერთნდობის საკითხი. თუმცა, დაწესებულებას საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ჰქონდა მემორანდუმი რაც ფაქტობრივად ადასტურებდა მზაობას ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და ჰქონდა რამდენად მართებულად მიაჩნდა მას სამაგისტრო საფეხურზე შეთავაზებული ყოფილიყო კურსი რომელიც გახლდათ საბაკალავრო დონის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ეხებოდა არა უშუალოდ სასწავლო კურსს არამედ სახელმძღვანელოს.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ იგი გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მისი აზრით, ექსპერტს ჰქონდა მაღალი კვალიფიკაცია აღნიშნულ დარგში, ვინაიდან უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა მის მიერ გაცემული თითქმის ყველა რეკომენდაცია. მას აინტერესებდა ექსპერტთა ჯგუფის შედეგად განხორციელებული ცვლილებების გარეშე პროგრამა გავიდოდა თუ არა შედეგზე. თუ შედეგზე ვერ გადიოდა პროგრამა პირველადი სახით, შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილება გახლდათ სამართლიანი და პროგრამას ხელახლა უნდა გაევლო აკრედიტაციის პროცედურა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა გავიდოდა თუ არა პროგრამა შედეგზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გავიდოდა შედეგზე. სასწავლო კურსი, რომელიც იყო არჩევითი ექსპერტის რეკომენდაციის მიხედვით გახდა სავალდებულო, შედეგის მიხედვით არ იყო შეცვლილი კურსი, შეიცვალა მხოლოდ მისი სტატუსი, მიღების წინაპირობაზე უცხო ენის კომპეტენცია გაზრდილი იყო B1-2 -ით, B2 მოთხოვნა უნივერსიტეტს ჰქონდა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, გათვალისწინებული იქნა სახელმძღვანელოს საკითხი ეკონომიკის მიმართულებით, ასევე სამ სასწავლო კურსს შეცვლილი ჰქონდა სტატუსი. უნივერსიტეტი ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, თუმცა არ ითვალისწინებდა ყველას. მიუხედვად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოსათვის დოკუმენტური მასალა, წარმომადგენლები ეცადნენ ზეპირისიტყვიერად ესაუბრათ განხორციელებულ ცვლილებებზე, თუმცა საბჭო არ იყო ორიენტირებული ზეპირ სიტყვა-პასუხზე. ასევე აკრედიტაციის საბჭოზე, საკითხის განხილვამდე, ერთ-ერთმა საბჭოს წევრმა წინასწარ განაცხადა, რომ არ მისცემდა პროგრამას ხმას რამაც მათი აზრით, გამოიწვია გარკვეული უარყოფითი განწყობის შექმნა.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ რომელიმე წევრის მიერ საკუთარი აზრის დაფიქსირება არ ნიშნავდა განწყობის შექმნას, ვინაიდან საბჭოს წევრები წინასწარ ეცნობოდნენ განსახილველი პროგრამის მასალებს, სილაბუსებს და თავად პროგრამას და ყველა წევრს ჰქონდა თავისი ინდივიდუალური მიდგომა და გააჩნდა საკუთარი პოზიცია.

17:27 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 17:48 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

**კრებულის შედეგები:**

მომზრე - 2

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ნინო დობორჯგინიძემ, ლაშა გოცირიძემ, ელენე ჯიბლაძემ და დავით კახნიაშვილმა.

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>2</sup> მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №46 გადაწყვეტილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 17:55 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ნუგზარ სხირტლაძე

თ. ლომა

მდივანი  
ნინო დობორჯგინიძე

